*24.01.2020*
*საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო*

მეორე სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №5

1. *მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ*

| სახელი, გვარი | სტატუსი | ორგანიზაცია |
|---|---|---|
| დიმიტრი გვრიტიშვილი | თანამომხსენებელი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| ზაზა ხარებავა | თანამომხსენებელი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| გიორგი მიქაუტაძე | წევრი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| ირაკლი ბონდარენკო | წევრი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| ნათია ვასაძე | წევრი | თბილისის საქალაქო სასამართლო |
| შორენა მეზურნიშვილი | წევრი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| შორენა გიგაური | წევრი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| ლია მჭედლიშვილი | წევრი | საქართველოს უზენაესი სასასამართლო |
| თორნიკე გეწაძე | წევრი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| ონისე მეტრეველი | წევრი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| ვაკო გავაშელი | წევრი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| სოფიო წაქაძე | მონაწილე | ევროპის საბჭო |
| სალომე ჩხაიძე | მონაწილე | IDFI |
| ნინო ნოზაძე | მონაწილე | საია |
| გიორგი ჩხეიძე | მონაწილე | PROLOG |
| ინგა თოდრია | მონაწილე | USAID, PROLOG |
| ანი მუხიგულაშვილი | მონაწილე | EMC |
| მაგდა ჯიმშილეიშვილი | მონაწილე | TI |
| ვერიკო ბერეკაშვილი | მონაწილე | GDI |
| ნინი გოგიბერიძე | მონაწილე | EU4JUSTICE |
| ზურაბ აზნაურაშვილი | მონაწილე | დამოუკიდებელი ინსპექტორი |
| ალექსანდრე იაშვილი | მონაწილე | თბილისის საქალაქო სასამართლო |
| გიორგი ტყავაძე | მონაწილე | თბილისის სააპელაციო სასამართლო |
| ნინო თარაშვილი | მონაწილე | თბილისის საქალაქო სასამართლო |
| თამარ აკობიძე | კოორდინატორი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |
| ნინო დემურხანაშვილი | მდივანი | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |

## 2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხი

სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტის განხილვა.

## 3. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2020 წლის 24 იანვარს, მეორე სამუშაო ჯგუფის ღია სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 11 წევრი.

მეორე სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელმა, დ. გვრიტიშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისიწნებული საკითხი და მოუწოდა დამსწრე პირებს აღნიშნულთან დაკავშირებით გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები/შენიშვნები.

ევროპის საბჭოს წარმომადგენელმა, ს. წაქაძემ მადლობა გადაუხადა მეორე სამუშაო ჯგუფს ოპერატიული საქმიანობისთვის. ამასთან, მან საჭიროდ მიიჩნია პროექტით გათვალიწინებული გარკვეული მუხლების ცვლილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები წარმოადგინეს ასევე ,,PROLOG"-ის და ,,USAID"-ის წარმომადგენლებმა. ამასთან, აღინიშნა, რომ სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტი მაქსიმალურად ასახავს ექსპერტთა რეკომენდაციებს.

აღნიშნული დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოსაზრებები ნაწილობრივ გაიზიარეს ასევე სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულმა პირებმა და მეორე სამუშაო ჯგუფის წევრებმა.

მეორე სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელმა, დ. გვრიტიშვილმა შეაჯამა გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები პროექტთან დაკავშირიბით.

ამის შემდგომ, ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია აღნიშნულ პროექტში ცვლილებების განხორციელება და ასევე მისი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე წარდგენა.

## 4. მეორე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სამოსამართლო ეთიკის წესების პროექტი განიხილება ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზეც.

თანამომხსენებლები: დიმიტრი გვრიტიშვილი

ზაზა ხარებავა

მდივანი: ნინო დემურხანაშვილი